სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080146571582619

№ 1549 19 / მარტი / 2019 წ.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 14 მარტს (19:26სთ) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისის“ SMP190001543 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ბურღულეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის და თხილეულის (CPV - 03200000 - ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული) შესყიდვას.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, კოლეჯს მზარეულის, კონდიტერის და კულინარიის ხელოვნების პროფესიული სასწავლო პროგრამების განსახორციელებლად სასწავლო გეგმისა და სილაბუსის მიხედვით წლის განმავლობაში ესაჭიროება ხილ-ბოსტნეულის გარკვეული რაოდენობა, რომლის შესყიდვის მიზნით 21.02.2019 და 05.03.2019 წელს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერები SPA190001160, SPA190001417, რომლებიც დასრულდა უშედეგოდ. ხილ-ბოსტნეული პროდუქტების დაუყოვნებლივ შეძენის გარეშე მზარეულის, კონდიტერის და კულინარიის ხელოვნების პროფესიულ სასწავლო პროგრამებზე ფაქტობრივად ჩავარდება სასწავლო პროცესი, რაც რეალურ საფრთხეს შეუქმნის კოლეჯის ფუნქციონირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს ზემოაღნიშნული საქონლის შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისს“ მზარეულის, კონდიტერის და კულინარიის ხელოვნების პროფესიული სასწავლო პროგრამების განსახორციელებლად სასწავლო გეგმისა და სილაბუსის მიხედვით წლის განმავლობაში ესაჭიროება ხილ-ბოსტნეულის გარკვეული რაოდენობა, რომლის შესყიდვის მიზნით 21.02.2019 და 05.03.2019 წელს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერები SPA190001160, SPA190001417, რომლებიც დასრულდა უშედეგოდ. იმისთვის რომ საფრთხე არ შეექმნას კოლეჯში მზარეულის, კონდიტერის და კულინარიის ხელოვნების პროფესიული სასწავლო პროგრამების განხორციელებას, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო რაოდენობის ბურღულეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის და თხილეულის შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისის“ SMP190001543 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე